სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**სოციოლოგია** Sociology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**სოციოლოგიის მაგისტრი** Master of Sociology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**120 კრედიტი (ECTS)** **სავალდებულო კურსები - 85 კრედიტი (ECTS),** მათ შორის: - სავალდებულო სასწავლო კურსები - 55 (ECTS) - სამაგისტრო ნაშრომი - 30 (ECTS) **არჩევითი კურსები - 30 კრედიტი (ECTS)** **თავისუფალი კურსები - 5 კრედიტი (ECTS).** **სწავლების სემესტრი:** ოთხი, აქედან სამი სემესტრი ეთმობა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების გავლას, ხოლო მეოთხე სემესტრი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**იაგო კაჭკაჭიშვილი,** სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ გამოცდა სპეციალობაში (სოციოლოგიაში) 60%; ✓ გასაუბრება სპეციალობასა და უცხოურ ენაში (ინგლისური ენა B[2]) 40%; ✓ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით; ✓ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში,

	სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისად:** ✓ სტუდენტს შესძინოს სოციოლოგიის დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა თანამედროვე სოციალურ-თეორიულ, ასევე, სოციოლოგიური კვლევის ემპირიულ მეთოდებთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებზე. ✓ პროფესიული ეთიკის სტანდარტებით შეიარაღებული დამოუკიდებელი მკვლევრის ჩამოყალიბება, რომელიც სოციოლოგიურ კვლევას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან კავშირში განიხილავს.
სწავლის შედეგები	**პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებული:**
ა) ცოდნა და გაცნობიერება	➢ სიღრმისეულად აღწერს თანამედროვე სოციოლოგიის ძირითად თეორიებს, კონცეფციებს, კვლევის უახლეს მიდგომებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს. ➢ კრიტიკულად განმარტავს დარგობრივი სოციოლოგიებისა და სოციოკულტურული ტრანსფორმაციების გავლენას მსოფლიო საზოგადოების განვითარებაზე. ➢ არგუმენტირებულად მსჯელობს იმ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე, რომლებიც სოციალურ ინსტიტუტებისა და სტრუქტურების მეშვეობით მიმდინარეობს როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ სივრცეში.
ბ) უნარები	➢ კომპლექსურად იყენებს და განსაზღვრავს ემპირიული კვლევის სხვადასხვა მეთოდს სოციალური პრობლემებისა და თანამედროვე საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების შესწავლისთვის. ➢ სოციოლოგიური მონაცემების დამოუკიდებლად დამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე

	აყალიბებს დასკვნებს შესასწავლი პრობლემის არსის, მისი გადაჭრის გზების შესახებ. ➢ დამოუკიდებლად, ხარისხიანად და მაღალ დონეზე წარმართავს კომპლექსურ კვლევებს, როგორც უფროსი მკვლევარი თავად უძღვება კვლევითი პროექტის განხორციელებას მულტიკულტურულ და ინტერდისციპლინურ გარემოში ჯგუფში მუშაობის პრინციპების გათვალისწინებითა და არსებული ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვით. ➢ საკომუნიკაციო ტექნიკების გამოყენებით ეფექტურად წარმართავს კომუნიკაციას ქართულ და უცხო ენაზე (ინგლისური) შესაბამის აუდიტორიასთან (კვლევის ობიექტებთან-რესპონდენტებთან, ექსპერტებთან, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლებთან).
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	➢ მოქმედებს პროფესიული ეთიკის პრინციპებით, იცავს კვლევის ობიექტის (ადამიანები, ჯგუფები) უფლებებს (პირველ რიგში, მათი კონფიდენციალურობა და ანონიმურობა) და აღიარებს კულტურულ მრავალფეროვნებასა და განსხვავებებს. ➢ აკადემიური კეთილსინდისიერებს პრინციპების გათვალისწინებით ახდენს ახალი ცოდნისა და იდეების გენერირებას და აწვდის ობიექტურ რეკომენდაციებს იმ დაინტერესებულ ჯგუფებს („სტეიკჰოლდერებს), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სოციალურ ცვლილებებზე.
სწავლება-სწავლის მეთოდები	შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები: ✓ ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; ✓ წიგნზე მუშაობის მეთოდი; ✓ წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესსეს შესრულება, და ა.შ.;

	✓ პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და კვლევითი პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ. სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე, ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ✓ დისკუსია, დებატები; ✓ ჯგუფური მუშაობა(cooperative/collaborative); ✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); ✓ შემთხვევის ანალიზი; ✓ გონებრივი იერიში(Brain storming); ✓ ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ✓ ელექტორნული სწავლება (E-learning).
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას. *შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.* *დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.* **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ● **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა; ● **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ● **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ● **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ● **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ● **(FX) ვერ ჩააბარა**–მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ● **(F) ჩაიჭრა**–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ

	ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **სამაგისტრო ნაშრომის შეფასება[1]** **სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.** სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).

[1]მეტი ინფორმაციისთვის იხ. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი https://bit.ly/3kDfjht

	სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:** **ა) აქტუალობა - 5 ქულა** (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე). **ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა** (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა). **გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა** (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). **დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა** (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა). **ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა** (ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). **ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა** (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები,

	ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).
დასაქმების სფეროები	სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შრომითი საქმიანობის დაწყება ყველა იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ზოგადი კვალიფიკაციის სოციოლოგს საჭიროებს. ასეთი კვალიფიკაცია კი პრინციპულად ყველა სფეროში არსებულ ორგანიზაციას შეიძლება დასჭირდეს.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში უმეტესწილად მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის და ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების, პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და ასისტენტ-პროფესორები; ასევე თსუ-ს სხვა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** ● თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; ● თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; ● სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); ● ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library ● თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/ ● თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა:

	EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. https://www.tsu.ge/ka/library/page/893 ● სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ● ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მიერ.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. ● სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; ● სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე http://e-learning.tsu.ge/ . ნაშრომს ამოწმებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც ხელმძღვანელობს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტით" (https://tsu.ge/assets/media/files/71/academic/372020_d1.pdf). სამსახური, დაცვამდე 9 კალენდარული დღით ადრე ნაშრომების ელექტრონულ ვერსიას უგზავნის რეცენზენტს და კომისიას. ნაშრომის ორიგინალობის კუთხით ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის

	სამსახური წერილობით აცნობებს დაცვის კომისიას შესაბამისი რეაგირების მიზნით. ნაშრომში აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამოვლენის შემთხვევაში კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან მიიღონ შემდეგი გადაწყვეტილება: ა) მაგისტრანტი დაშვებულ იქნეს დაცვაზე და ხარვეზები აისახოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში; ბ) მაგისტრანტი არ იქნეს დაშვებული დაცვაზე; გ) მაგისტრანტის საკითხი განიხილოს ეთიკის კომისიამ. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში მაგისტრანტის ხელმძღვანელმა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნდა გაუგზავნოს წერილობითი თანხმობა მაგისტრანტის დაცვაზე დაშვების თაობაზე.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	მისაღები სტუდენტების რაოდენობა წლიურად: სამაგისტრო პროგრამაზე წლიურად ირიცხება საშუალოდ 20 სტუდენტი. **პროგრამაზე მისაღები შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ზოგადი თემატიკა მოიცავს საკითხებს:** ● სოციალური თეორიის ძირითადი პარადიგმები; ● დარგობრივი სოციოლოგია; ● სოციოლოგიური კვლევის ემპირიული მეთოდები.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სოციოლოგია

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS

- *სავალდებულო კურსები - 85 კრედიტი (ECTS)*
- *არჩევითი კურსები - 30 კრედიტი (ECTS)*
- *თავისუფალი კურსები - 5 კრედიტი (ECTS)*

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 29/07/2021 - № 69/2021 (დანართი 60)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): № 151408; 01/02/2022 – 31/12/2028
https://eqe.ge/ka/deqars/505/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი: 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[2] ნომერი და თარიღი): №22/2022 – 11/03/2022; № 61/2022 - 26/07/2022; №16/2023 – 09/02/2023; №91/2023 – 11/09/2023; №28/2024 – 22/02/2024

[2] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგამანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი 120კრედიტი (ECTS)												
სავალდებულო სასწავლო კურსები - 85 კრედიტი (ECTS), მათ შორის, სავალდებულო სასწავლო კურსები - 55 კრედიტი (ECTS) სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი (ECTS)												
№	კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა(ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	სულ	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
				ლექცია	სამუშაო ჯგუფი / პრაქტიკუმი	შუალედური და დასკვნითი				შემოდგომა	გაზაფხული	
1.		თანამედროვე სოციალური თეორიები 1	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		იაგო კაჭკაჭიშვილი
2.		თანამედროვე სოციალური თეორიები 2	5	15	15	5	90	125	თანამედროვე სოციალური თეორიები 1		✓	ამირან ბერძენიშვილი

3.		პოსტმოდერნული სოციალური თეორიები	5	15	15	5	90	125	თანამედროვე სოციალური თეორიები 2	✓		იაგო კაჭკაჭიშვილი
4.		სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები	5	15	15	3	92	125	წინაპირობის გარეშე	✓		ლია წულაძე
5.		მონაცემთა ანალიზი	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო დურგლიშვილი
6.		სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები 1	5	15	15	3	92	125	წინაპირობის გარეშე	✓		ლია წულაძე
7.		სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები 2	5	15	15	3	92	125	სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები 1		✓	ლია წულაძე
8.		პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 1	5	–	30	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		ანა პაპიაშვილი
9.		პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 2	5	–	30	5	90	125	პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 1		✓	თამარ ხოშტარია
10.		პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 3 (პრაქტიკა კვლევით ორგანიზაციებში)	5	–	30	5	90	125	პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 2	✓		იაგო კაჭკაჭიშვილი თამარ ხოშტარია
11.		მონაცემთა ანალიზი STATA-ში	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		ალექსანდრე ცაგარელი
12.		სამაგისტრო ნაშრომი	30	40			710	750	მინ. 80 კრედიტი[3], მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი	✓	✓	სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
არჩევითი კურსები - 30 კრედიტი (ECTS)												
13.		პოლიტიკისა და ძალაუფლების სოციოლოგია	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	ამირან ბერძენიშვილი

[3] **გათვალიწინებულია დამამთავრებელ სემესტრში 40 კრედიტის აღების შესაძლებლობა**
(სტუდენტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომთან ერთად აიღოს ორი 5 კრედიტიანი ან ერთი 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი)

14.		სახელმწიფო და ეკონომიკა: სოციოლოგიური პერსპექტივა	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓		ანა დიაკონიძე
15.		ხელოვნების სოციოლოგია: პოსტმოდერნული დისკურსი	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓		დავით ანდრიაძე
16.		სუბკულტურის სოციოლოგია	5	15	15	3	92	125	წინაპირობის გარეშე	✓		ლია წულაძე
17.		გენდერის სოციალურ - პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓	ლელა გაფრინდაშვილი
18.		კვლევითი პროექტი *(სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	3	92	125	წინაპირობის გარეშე	✓		თამარ მახარაძე
19.		დარგობრივი ინგლისური ენა სოციალურ მეცნიერებებში	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ბოლქვაძე
20.		გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები *(დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		ზურაბ დავითაშვილი
21.		პოლიტიკური მარკეტინგი და საარჩევნო კამპანია *(პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	30	6	74	125	წინაპირობის გარეშე	✓		მალხაზ მაცაბერიძე
22.		კულტურის პოსტმოდერნული ტრანსფორმაციები	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		აკაკი ყულიჯანიშვილი
23.		კულტურა და იდენტობები ცვალებად საზოგადოებაში	5	15	15	3	92	125	წინაპირობის გარეშე		✓	ლია წულაძე

24.		შრომითი ურთიერთობები საქართველოში ევროინტეგრაციის კონტექსტში	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	მარინა მუსხელიშვილი
25.		ჯანდაცვის სოციოლოგია	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓	თენგიზ ვერულავა
26.		საქართველოს სახელმწიფო მართვის მოდელი და პარტიული სისტემა	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓		ხათუნა ლაგაზიძე
27.		დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური სტრუქტურა შედარებით პერსპექტივაში	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		მარინა მუსხელიშვილი
28.		ომის, ძალადობის და სოციალური კონფლიქტის სოციოლოგია	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✓		იუჯინ (ევგენი) სლონიმეროვი
29.		აღმოსავლეთის და დასავლეთის ცივილიზაციები (კონფლიქტოლოგიის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამიდან)	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓		ნოდარ ბელქანია
30.		პოლიტიკური ინსტიტუტები: თეორია და საქართველოს რეალობა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე		✓	გია ჟორჟოლიანი მარინა მუსხელიშვილი
31.		პოსტკოლონიური და დეკოლონიური თეორიები	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓	მაია ბარქაია
32.		ეროვნული იდენტობა, ნაციონალიზმი და ევროპეიზაცია: სოციოლოგიური ანალიზი	5	15	15	3	92	125	წინაპირობის გარეშე		✓	ლია წულაძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თავისუფალი კურსები - 5 კრედიტი (ECTS)

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი